

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 92

წინამდებარე ხელშეკრულება დადგებულია „05“ მარტი 2012 წ.

ერთის მხრივ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა („შემდგომში „შემსყიდვები“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის საქართველოს თავმჯდომარის ისპანდიარ ქერიმოვის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. „თენგიზ შუბითიძე“-ს („შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და მიმწოდებლის (ი.მ. „თენგიზ შუბითიძე“) (№342) საკონკურსო წინადაღების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დგმენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდვები ირგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდვები ირგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდვები“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდვებითან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4. „ხელშეკრულების დირექტულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხდოს შემსყიდვები ირგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული
- 1.6. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ქართული ენის სახლის შენობის კონდენცირება-ვენტილაცია-გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. (CPV- 71321200- გათბობის სისტემის დაპროექტება).

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების დირექტულება

- 3.1. გასაწევი მომსახურების საერთო დირექტულება შეადგენს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი, დ.ღ.გ.-ს გარეშე.
- 3.2. ხელშეკრულების საერთო დირექტულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 3.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული.

4. მხარეთა უფლება-მოგადეობანი

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 დღის განმავლობაში. იგი პასუხისმგებულია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
- 4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების დირექტულება.
- 4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
- 4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
- 4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან „მიღება-ჩაბარების“ აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარის 14.01.2011 წლის №5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი მიმღები კომისია.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის კონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი მაღაქია დეკანოიძე.
- 6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
- 6.3. უვალა გამოედენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

- 7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხით), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშეწორება

- 8.1. ანგარიშეწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- 8.2. ანარიშეწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში:
- 8.3. ანგარიშეწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების დირექტულებით პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების დირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, საგალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდვები თრგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული დირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების დირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შექსყიდვები არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდვების წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

- 13.3. ფორს-მაურული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისხმაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით ასეუსხმული იქნება, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიზედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაურული გარემოებების ზეგავლენისაგან.
14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
- 14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტებლო ყოველ ვალდაბადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.
- 14.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტებლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტებლოს ანაზღაურება.
- 14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15. ხელშეკრულების შეწყვეტა
- 15.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 15.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლება 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
- 15.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
16. დავების გაწყვეტის წესი
- 16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
- 16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება მაღაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 30.06.2012 წ-დე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდვები თრგანიზაცია:

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73
ს.ქ. 234232149

მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერტი ბანკი“-ს
მარნეულის ფილიალი; ბანკის კოდი 220101408; ა/ა
GE22LB0120166049432000;

მიმწოდებელი:

ი.მ. „თენგიზ შუბითიძე“

მისამართი: ქ. მარნეული.

ს.ქ. 620 030 039 44

მომსახურე ბანკი: ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22

ა.ა GE81VT39000000000023605

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

დირექტორი:



/თ. ქერიმოვი/

(ბ.ა.)

/თ. შუბითიძე/

(ბ.ა.)

მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსი:

/მ. სამაშვილი/

შესყიდვების მთავარი სპეციალისტი:

/ზ. კვანჭიანი/